



შ.პ.ს. “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ”

ბიზნეს გეგმა

2019 წელი

სარჩევი

1. მოკლე მიმოხილვა
2. მფლობელები
3. ბიზნესი
4. ბაზარი
5. ფინანსები
8. ფინანსური უწყისები და ანალიზი
9. წაუგებლობის წერტილი და გაყიდვები
10. 2019 წლის გეგმა

მოკლე მომხილვა

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ ჩამოყალიბდა შპს „იმედის“ რეორგანიზაციის შედეგად სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2013 წლის 13 სექტემბრის №1/1-791 ბრძანების საფუძველზე. შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ წესდება დამტკიცებულია საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 დეკემბრის №1/1-1243 ბრძანებით

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის № 1830 განკარგულებისა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-სა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წილის მართვის უფლება გადაეცა ჯანდაცვის სამინისტროს 5 წლის ვადით.

საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი შეიცვალა მიმდინარე წლის ოქტომბერში და მაჟამად საზოგადოების მისამართია ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქუჩა № 9. საზოგადოების კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 32 275 461,33 ლარს, ხოლო 2018 წლის განმავლობაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13/09/2018წ. №01-135/ო ბრძანების თანახმად საზოგადოების კაპიტალში შეტანილი იქნა 1 943 141 ლარი, შემდგომში შპს „დმანისის ცენტრალური საავადმყოფო“-ს 100% წილის გამოსყიდვის მიზნით და 05/07/2018წ. №01-157/ო ბრძანების თანახმად – 1 178 784.72 ლარი, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში, ახლად აშენებული და აღჭურვილი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის ღირებულების სახით. შესაბამისად საწესდებო კაპიტალი ჯამურად გაიზარდა 3 121 925.72 ლარით. ამდენად 2018 წლის განმავლობაში დაფიქსირდა საზოგადოების კაპიტალის ზრდა და 01/10/2018წ. მდგომარეობით შეადგინა 35 397 387.05 ლარი. ამასთანავე მიმდინარე წლის ოქტომბერში საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის ცვლილებიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2018 წლის 30 ოქტომბრის №01-1276/ო ბრძანების თანახმად კაპიტალიდან ამოღებული იქნა ივ.ჯავახიშვილის ქ. №51-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ფართი მისზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთით, საერთო ღირებულებით - 459 292 ლარი, რის სანაცვლოდაც კაპიტალში შეტანილი იქნა მ. ასათიანის ქ. №9-ში მდებარე შენობა ნაგებობის ფართი მისზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით, ჯამური ღირებულებით – 24 365.96 ლარი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2018 წლის 12 ნოემბრის №01-1296/ო ბრძანების თანახმად, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს

კაპიტალში შეტანილია იქნა, შპს „ო. ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 1 195 170 ლარის ღირებულებით.

შესაბამისად მიმდინარე პერიოდითვის შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”-ს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 36 157 631.01 ლარს.

მფლობელები

შ.პ.ს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის”-ს მფლობელია:

1. 100% წილის მესაკუთრე - სახელმწიფო
2. წილის მმართველი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო(100%)

ბიზნესი

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო სერვისების განხორციელება.

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”, 2018 წლის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, სამედიცინო მომსახურებას უწევდა 9 რეგიონსა და 17 დასახლებულ პუნქტს, (მოსახლეობით დაახლოებით 450.000)

ფინანსები

ფინანსური უწყისები და ანალიზი

საზოგადოების მუშაობის საბოლოო შედეგის შეფასებისა და სამომავლო პროგნოზების ჩამოყალიბების უმთავრეს მექანიზმს, ბუნებრივია წარმოადგენს შესრულებული აქტივების სხვადასხვა კუთხით შეფასება, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მხარეს, საბოლოო პროდუქტის, ფინანსური შედეგების ანალიზი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები, რომელიც ჩვენ ამ ეტაპზე გავაჩნია არასრულყოფილია (01/10/2018წ. მდგომარეობით), ვინაიდან ფისკალური წელი არ დასრულებულა, შევეცადეთ ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციის დამუშავებით აგვესახა წლის განმავლობაში ფინანსური შედეგების ძირითადი ტენდენციები, შევეფასებინა რისკები, რომელთა გათვალისწინებითაც მოვახდინეთ 2019 წლის ფინანსური გეგმის ფორმირება.

ფინანსური წლიური ანგარიში, მოიცავს სამი სახის ფინანსურ უწყისს: საბალანსო უწყისს, მოგება/ზარალის უწყისს და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს, რომელთა ერთობლიობაც ასახავს საზოგადოების საქმიანობის საბუღალტრო სურათს და ფინანსურ პოზიციებს. როგორც ვიცით, ფინანსური უწყისები გვაძლევენ ინფორმაციას საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ დროის მოცემულ მომენტში და მისი საქმიანობის შესახებ წარსულის გარკვეულ პერიოდში. ამასთან შესაძლებელია მათი გამოყენება მომავალი შემოსავლების, დივიდენდების და თავისუფალი ფულის დასათვლელად. ფინანსური უწყისების შესაფასებლად ჩვენ გამოვიყენეთ სტანდარტული ფინანსური კოეფიციენტები:

შ.პ.ს. “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”

ბალანსი

ბალანსი	-	-	-
აქტივი	27,786,971.01	29,986,259.96	31,752,721.10
ფულადი სახსრები	478,898.67	159,402.78	288,040.70
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
დებიტორები-მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,494,308.61	1,856,409.17	1,985,978.31
მოთხოვნები ფილიალების მიმართ	-	-	-
მოთხოვნები პერსონალისა და ხელმძღვანელების წინაშე			
მოთხოვნები ანგარიშგაღებულ პირების მიმართ	-1,856.50	-2,496.00	-1,091.00
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან			
დარიცხული მოთხოვნები (მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა)	1,392.06	2,784.12	2,784.12
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6,960.34	6,960.34	6,960.34
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	927,739.18	1,092,035.60	1,005,901.86
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები (მომსახურება, იჯარა და სხვა)		288.00	288.00
სხვა მიმდინარე აქტივები			
მიმდინარე აქტივები	3,907,442.36	3,115,384.01	3,288,862.33
გრძელვადიანი ინვესტიციები	0.00	0.00	0.00
ძირითადი საშუალებები	28,423,835.00	29,141,050.09	32,312,604.06
არამატერიალური აქტივები	6,950.00	8,991.79	8,991.79
ძირითადი საშუალებების ცვეთა	4,548,798.14	2,277,817.16	3,856,388.31
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	2,458.21	1,348.77	1,348.77
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0.00		
გრძელვადიანი აქტივები	23,879,528.65	26,870,875.95	28,463,858.77
პასივი	27,786,971.01	29,986,259.96	31,752,721.10
კრედიტორული ვალდებულებები	228,155.04	201,974.89	234,991.39
გასაცემი ხელფასები/ვალდებულებები პერსონალისადმი	1,193,581.10	840,242.04	1,011,508.77
საბიუჯეტო ვალდებულებები	212,204.86	136,487.86	163,321.03
დარიცხული ვალდებულებები	-	-	-
მიღებული ავანსები			
სესხები დამფუძნებლებისაგან			
სესხები პარტნიორებისგან			
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
ოვერდრაფტი			
სხვა მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები	1,633,941.00	1,178,704.79	1,409,821.19
გრძელვადიანი სესხები			
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			

გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	1,633,941.00	1,178,704.79	1,409,821.19
კაპიტალი	26,153,030.01	28,807,555.17	30,342,899.91
საწესდებო კაპიტალი	27,403,387.14	32,275,461.33	35,397,387.05
წინა პერიოდის აკუმულირებული მოგება(ზარალი)	-585,365.04	-1,250,357.13	-3,469,646.16
მიმდინარე პერიოდის გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	-664,992.09	-2,219,289.03	-1,586,580.98
რეზერვები და დაფინანსება		1,740.00	1,740.00

კოეფიციენტი ანალიზი	Dec-16	Dec-17	Oct-18
ფონდების მართვის საზომი კოეფიციენტები			
კაპიტალის წილი მთლიან აქტივებში	94.1%	96.1%	95.6%
ვალდებულებების წილი კაპიტალში	6.2%	4.1%	4.6%
მიმდინარე ვალდებულებების წილი მთ. აქტივებში	5.9%	3.9%	4.4%
გრძელვადიანი ვალდ. წილი მთ. აქტივებში	0.0%	0.0%	0.0%
მიმდინარე აქტივების წილი მთლიან აქტივებში	14%	10%	10%
გრძელვადიანი აქტივების წილი მთლიან აქტივებში	86%	90%	90%
აქტივების ზრდის კოეფიციენტი	12%	8%	6%
კაპიტალის ზრდის კოეფიციენტი	11%	10%	5%

შ.პ.ს. “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი” მოგება ზარალის უწყისი

მოგება-ზარალის უწყისი			
-----------------------	--	--	--

წმინდა შემოსავლები	10,878,982.86	8,492,314.69	6,311,773.75
--------------------	---------------	--------------	--------------

სულ ხარჯები	10,703,677.52	9,252,319.34	6,510,231.79
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6,889,408.83	5,346,410.29	3,938,822.10
მიწოდების ხარჯი	135,132.76	50,386.54	51,715.28
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	3,679,135.93	3,855,522.51	2,519,694.41
მთლიანი მოგება	3,989,574.03	3,145,904.40	2,372,951.65
საოპერაციო მოგება	175,305.34	(760,004.65)	(198,458.04)

არასაოპერაციო მოგება-ზარალი	963,901.57	553,374.95	190,448
არასაოპერაციო შემოსავლები	1,073,467.30	554,261.92	190,448
არასაოპერაციო ხარჯები	109,565.73	886.97	-

	1,139,206.91	(206,629.70)	(8,009.83)
ცვეთა/ამორტიზაცია	1,804,199.00	2,012,659.33	1,578,571.15
საბანკო სესხის საპროცენტო ხარჯი	-	-	-
სხვა სასესხო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	-	-	-
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება	(664,992.09)	(2,219,289.03)	(1,586,580.98)

შ.პ.ს. “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი” ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი			
ფული პერიოდის დასაწყისში	122,217.30	478,898.67	159,402.78
საოპერაციო ფულის მოძრაობა			
საოპერაციო ფულის შემოსავალი	10,849,214.06	9,103,175.08	6,184,047
საოპერაციო ფულადი გასავალი	10,060,771.23	9,231,829.80	6,050,820
მათ შორის სულ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი ფული	1,224,058.00	904,681.64	534,607
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	788,442.83	(128,654.72)	133,227
სულ ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები	910,660.13	350,243.95	292,630
საფინანსო-საინვესტიციო ფულის მოძრაობა			
საფინანსო-საინვესტიციო შემოსავალი	34,979.01	25,589.94	1,964,733
საკრედიტო ინსტ. მიღებული სესხები	-	-	-
ოვერდრაფტის მიღება	-	-	-
მოკლევადიანი ინვესტიციების უკუგება	-	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციების უკუგება	-	-	-
ბიზნესში ინვესტირებული ფული	-	-	1,943,141
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები	-	-	-
სესხები პარტნიორებისგან	-	-	-
საქვეანგარიშოდ გატანილი თანხის დაბრუნება	-	-	-
აქტივის რეალიზაცია	-	-	-
აქციების/წილის გაყიდვა	-	-	-
მიღებული დივიდენდები	34,979.01	25,589.94	21,592
სხვა - გრძელვადიანი მოთხოვნების უკუგება	-	-	-
კურსთაშორის სხვაობით/გადაფასებით მიღებული შემოსავალი	-	-	-
საფინანსო-საინვესტიციო გასავალი	466,740.47	216,431.11	1,969,322
ბანკის სესხის დაფარვა	-	-	-
სხვა საკრედიტო ინს. მიღებული სესხების დაფარვა	-	-	-
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხის დაფარვა	-	-	-
პარტნიორებისგან მიღებული სესხის დაფარვა	-	-	-
ოვერდრაფტის დაფარვა	-	-	-
საქვეანგარიშოდ თანხის გაცემა	-	-	-
აქტივის შეძენა	222,673.02	193,193.09	1,969,322
აქციების/წილის გამოსყიდვა	-	-	-
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციები და კაპიტალური დაბანდვები	244,067.45	23,233.21	-
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
სხვა დარიცხული ვალდებულებების გადახდა	-	-	-
კურსთაშორის სხვაობით/გადაფასებით მიღებული ზარალი	-	4.8	-
ფულადი ნაკადები საფინანსო-საინვესტიციო საქმიანობიდან	(431,761.46)	(190,841.17)	(4,589)
ფულის შემცირება/ზრდა	356,681.37	(319,495.89)	128,638
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	478,898.67	159,402.78	288,041

შ.პ.ს. “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”

გამოთვლილი მონაცემები: კოეფიციენტები

- ლიკვიდურობის კოეფიციენტის მიხედვით ვადგენდით მიმდინარე აქტივის ფულად ქცევის შესაძლებლობებს
- ვალდებულების მართვის კოეფიციენტების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საზოგადოების შესაძლებლობა, მოახდინოს ვალით დაფინანსება

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კოეფიციენტური ანალიზი	Dec-16	Dec-17	Oct-18
ლიკვიდურობის საზომი კოეფიციენტები			
საერთო ლიკვიდობა	17.01	25.44	22.52
მიმდინარე ლიკვიდობა	2.39	2.64	2.33
სწრაფი ლიკვიდობა	1.82	1.72	1.62
ვალის კოეფიციენტი	6%	4%	4%

მიმდინარე კოეფიციენტი

ეს კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების სიდიდის, მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე გაყოფის შედეგად. იგი განსაზღვრავს საწარმოს მიერ მიმდინარე აქტივების საშუალებით, მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას. მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები

ვალის დაფარვის შემთხვევაში ერთ ლარ დავალიანებაზე მოდის დაახლოებით 2,33 ლარის აქტივი, რითაც შესაძლებელია ვალის გადახდა დროულად, შესაბამისად ეს მაჩვენებელი საზოგადოებისათვის დადებითია.

სწრაფი კოეფიციენტი

აღნიშნული კოეფიციენტის მისაღებად ფულადი საშუალებების, ბაზარზე ბრუნვადი ფასიანი ქაღალდებისა და დებიტორული დავალიანების სიდიდეების ჯამი ანუ საწარმოს მიმდინარე აქტივების მეტად ლიკვიდური ნაწილი (აღნიშნულ სიდიდეში არ შედის მარაგები), უნდა გაიყოს მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე.

ამ კოეფიციენტის გაანგარიშება საშუალებას გვაძლევს გავცეთ პასუხი კითხვაზე “რეალიზაციის შემცირებისა ან საერთოდ შეწყვეტის შემთხვევაში შეძლებს თუ არა საწარმო თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვას, არსებული სწრაფად ლიკვიდური აქტივების საშუალებით”. მიმდინარე აქტივები - მარაგები / მიმდინარე ვალდებულებები

რეალიზაციის შემცირებისა ან საერთოდ შეწყვეტის შემთხვევაში საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა დაუაროს მოკლევადიანი ვალდებულებები დროულად, შესაბამისად ეს მაჩვენებელი საზოგადოებისათვის დადებითია.

საერთო ლიკვიდურობა და ვალის მართვის კოეფიციენტები

ორივე კოეფიციენტი განსაზღვრავს რა დონით შეუძლია საზოგადოებას, საქმიანობის ვალით დაფინანსება, რასაც სამი შედეგი აქვს:

1. ვალით დაფინანსების შესაძლებლობის გამო, აქციონერებს შეუძლიათ ფირმაზე კონტროლის შენარჩუნება დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე.
2. თუ საზოგადოებას უფრო მეტ მოგებას მიიღებს ნასესხები კაპიტალით ინვესტირების შემთხვევაში, ვიდრე იხდის პროცენტს, მაშინ აქციონერების უკუგება იზრდება, მაგრამ ასევე იზრდება რისკი
3. კრედიტორები ზრუნავენ სააქციო კაპიტალზე იმისათვის, რომ უზრუნველყონ უსაფრთხოების მარჟა, ამიტომ რაც უფრო მაღალია სააქციო კაპიტალის წილი დაფინანსებაში, მით ნაკლებია კრედიტორების რისკი.

ვალის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით - ვალის კოეფიციენტი=საერთო ვალდებულებები/საერთო აქტივებზე; ხოლო საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი – საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი=საერთო აქტივები/საერთო ვალდებულებებზე.

წარმოდგენილი მაჩვენებელი საზოგადოებისათვის დადებითია, რადგან ვალის არსებობის შემთხვევაში საზოგადოება დავალიანებას ისტუმრებს სწრაფად და დადგენილი დროის ფარგლებში

-კოეფიციენტების მეორე ჯგუფით გავზომეთ, რამდენად ეფექტიანად იყენებს საზოგადოება აქტივებს

აქტივების მართვის კოეფიციენტები

კოეფიციენტური ანალიზი	Dec-16	Dec-17	Oct-18
ეფექტურობის საზომი კოეფიციენტები			
აქტივების ბრუნვალობა	39%	28%	20%
ფიქსირებული აქტივის ბრუნვალობა	46%	32%	22%
მარაგების ბრუნვალობა	11.7	7.8	6.3
დებიტორის ბრუნვალობა	0.2	0.2	0.3
კრედიტორის ბრუნვალობა	0.02	0.02	0.04
ნაღდი ფულის ციკლურობა	11.9	8.0	6.6

დებიტორების და კრედიტორების ბრუნვალობა

ეს ორი კოეფიციენტი გამოითვლება შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დარჩენილი დებიტორული/კრედიტორული ვალდებულებების შეფარდებით ამავე პერიოდის განმავლობაში რეალიზაციის სიდიდესთან და გვიჩვენებენ თუ რამდენად სწრაფად იღებს შემოსავლებს და ისტუმრებს ვალებს საზოგადოება. ჩვენს შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ საზოგადოება ვალებს ისტუმრებს 10-ჯერ უფრო სწრაფად (0.04) ვიდრე თვითონ იღებს რეალიზაციის შედეგად წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებებს (0.3).

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი

ეს კოეფიციენტი მიიღება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეალიზაციის სიდიდის შეფარდებით მარაგების საშუალო სიდიდესთან (ჯამი მარაგების რაოდენობისა პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს). იგი საზღვრავს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მარაგების გაყიდვისა და ჩანაცვლების (ბრუნვალობის) სიხშირეს. რეალიზაცია / მარაგების საშუალო სიდიდე
მარაგების ჩანაცვლების (ბრუნვის) კოეფიციენტი ისეთი ტიპის საზოგადოებისათვის, როგორიცაა შპს „ჯანდაცვის რეგიონული ცენტრი“ დამაკმაყოფილებელია. ამ კოეფიციენტის დიდი მაჩვენებლები ძირითადად მოეთხოვება სავაჭრო ორგანიზაციებს.

ფიქსირებული აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი

ეს კოეფიციენტი მიიღება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეალიზაციის სიდიდის შეფარდებით ფიქსირებული აქტივების სიდიდესთან. იგი საზღვრავს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფიქსირებული აქტივების გაყიდვისა და ჩანაცვლების (ბრუნვალობის) სიხშირეს. რეალიზაცია / ფიქსირებული აქტივების სიდიდე.
შესაბამისად გამოითვლება საერთო აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი.

ეს ორი მაჩვენებელი დაბალია, მაგრამ საზოგადოებისათვის აბსოლუტურად მისაღებია, რადგან ის არ ახდენს ძირითადი აქტივების რეალიზაციას და ჩანაცვლებას.

მომგებიანობის კოეფიციენტები საოპერაციო შედეგებზე ლიკვიდურობის, აქტივების მართვის და ნასესხები კაპიტალის გავლენის კომბინირებულ სურათს იძლევიან.

მომგებიანობის კოეფიციენტები

კოეფიციენტური ანალიზი	Dec-16	Dec-17	Oct-18
მომგებიანობის საზომი კოეფიციენტები			
მთლიანი მოგების მარჟა	37%	37%	38%
საოპერაციო მოგების მარჟა	2%	-8.9%	-3.1%
	10%	-2%	0%
წმინდა მოგების მარჟა	-6%	-26%	-25%
	-2%	-7%	-5%
	-3%	-8%	-5%

მთლიანი მოგების მარჟა გამოითვლება რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულების შეფარდებით საოპერაციო შემოსავლებთან და გვიჩვენებს თვითღირებულების მოცულობას სარეალიზაციო ღირებულებასთან მიმართებაში. როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული მაჩვენებელი ზრდადია და დამაკმაყოფილებელია ასეთი ტიპის საზოგადოებისათვის.

საოპერაციო მოგების მარჟა განსაზღვრავს გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის რა ნაწილი შესაძლოა გახდეს წმინდა მოგება. ეს არის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიიღება გარკვეული პერიოდის საოპერაციო მოგების იმავე პერიოდის საოპერაციო შემოსავალზე გაყოფით. საოპერაციო მოგების მარჟა=საოპერაციო მოგება /გაყიდვებზე. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მაჩვენებელი უარყოფითია, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდადია დადებითისაკენ წინა წლის შედეგთან შედარებით, რაც განაპირობა 2018 წლის დასაწყისში, ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელებულმა ცვლილებამ სახელფასო პოლიტიკაში, ასევე მიმდინარე 2018 წელს, ხარჯების ოპტიმალური გადანაწილებით მიღებულმა ეფექტმა სპეცდაფინანსების დამატების ღირებულების ათვისების თვალსაზრისით, რის შედეგადაც ამჯერად აუთვისებელი დარჩა სპეცდაფინანსების დამატების სრული საკონტრაქტო ღირებულებიდან 46 431 ლარი. მიუხედავად საოპერაციო მოგების მარჟის მატებისა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებამ განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის კუთხით, კვლავ გასატარებელია ღონისძიებები შემოსავლების გაზრდის მიმართულებით, რაც შეიძლება აისახოს როგორც რეალიზაციის მოცულობის ასევე სარეალიზაციო ფასების ზრდაში. რეალიზაციის მოცულობა აუცილებლად გაიზრდება, საზოგადოების შემადგენლობაში ახლად შემოსული, დუისისა და დმანისის სამედიცინო

დაწესებულებების ხარჯზე, თუმცა მათი სასტარტო პერიოდის გათვალისწინებით სავარაუდო იქნება საწყის ეტაპზე ხარჯების პროპორციული ზრდაც. კერძოდ, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მცირე პერიოდის ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, დმანისის შემოსავალმა მომდევნო 2019 წელს უნდა შეადგინოს დაახლოებით 650 000 ლარი, ხოლო ღუსის შემოსავალმა - 360 000 ლარი (თუ შეუნარჩუნდება სპეცდაფინანსების დამატება), რაც ჯამურად 1 010 000 ლარს შეადგენს და შესაძლოა საზოგადოების ჯამური წმინდა ფინანსური შედეგი გააუმჯობესოს დაახლოებით 100 000 ლარით. დანარჩენი 15 კლინიკიდან, ცხრა მაღალმთიანი და სამი სპეციალური დანიშნულების (ბორითი, გუდაური, ზუგდიდი) ობიექტი, მათი სტატუსის გათვალისწინებით, შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა, ამდენად აქცენტი გაკეთდება ძირითადად ბარის კლინიკების (დედოფლისწყარო, ხარაგაული, ლანჩხუთი) შემოსავლების ზრდის ღონისძიებების დასახევაზე და საერთო საოპერაციო ხარჯების შემცირებაზე.

საინტერესო მაჩვენებელია EBITDA - მოგების მაჩვენებელი ამორტიზაციამდე, მოგების გადასახადამდე და სხვა სასესხო ვეღლებულებამდე, რომელიც გამოითვლება შესაბამისი მოგების (საოპერაციო მოგება/ზარალს+არასაოპერაციო მოგება/ზარალი) შეფარდებით რეალიზაციასთან და გვიჩვენებს, როგორ ზეგავლენას ახდენს ფიქსირებული აქტივების ბრუნვალობა, სასესხო ვალდებულებები და მოგების გადასახადი წმინდა მოგების ფორმირებაზე. ჩვენს შემთხვევაში, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ფიქსირებული აქტივების ბრუნვალობა შემცირებულია, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია მიმდინარე წლის ბოლოს კაპიტალის ზრდით, ხოლო, მეორე მხრივ - საზოგადოების ბალანსზე არსებული იმ ძირითადი საშუალებებით, რომლებიც პრაქტიკულად გამოუყენებელია საქმიანობისათვის და რომელთა განკარგვაზე ამ ეტაპზე ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება (ვანის, ასპინძის და ჩოხატაურის კლინიკები, ხარაგაული და დედოფლისწყაროს კლინიკების ძველი შენობები).

აქვე ნათლად ჩანს, რომ მიმდინარე პერიოდისათვის საზოგადოების წმინდა ფინანსური შედეგი უარყოფითია (-25%) და, 2017 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია 1%-ით ანუ სახეზეა მცირე, მაგრამ მაინც დადებითი დინამიკა. შესაბამისად ამ ეტაპზე უარყოფითია უკუგება აქტივებზე (ROA =-5%) და კაპიტალზე (ROE=-5%), რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

ამ მოკლე ანალიზის შემდგომ, აუცილებელია გამოთვლილი იქნას ნულოვანი მოგება და წაუგებლობის წერტილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2018 წლის ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი, კოეფიციენტური ანალიზის სიზუსტის მიზნით, წარმოადგენენ ზუსტ ფინანსურ მონაცემებს 2018 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. ამავე დროს ნულოვანი

მოგების ანალიზი, გაყიდვების ტემპის გაანგარიშება, რისკის და უკუგების ანალიზი და 2019 წლის ბიუჯეტი დამუშავებულია 2018 წლის სრულ საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით.

ნულოვანი მოგების ანალიზი

ასეთი სახის ანალიზის შედეგად დგინდება კონკრეტული პერიოდისთვის შემოსავლის მოცულობა/ გაყიდვების რაოდენობა, რომელიც საჭიროა როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი ხარჯების სრულად დასაფარად.

- ფიქსირებული (ზედნადები) ხარჯები უცვლელია წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ან გაწეული მომსახურების მოცულობის მიუხედავად. მაგ., იჯარა, დაზღვევა, კომუნალური, ადმინისტრაციული ხელფასის ხარჯი და სხვ.
- ცვლადი ხარჯი იცვლება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ან გაწეული მომსახურების მოცულობის პროპორციულად. მაგ., ნედლეულის ხარჯი, სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება, გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები, ტრანსპორტირების ხარჯები და ა.შ.

იმისათვის, რომ მივალწიოთ ნულოვანი მოგების წერტილს (დაიფაროს ყველა ხარჯი სრულად), საჭიროა განსვამდგროთ რა რაოდენობის პროდუქტი უნდა გავყიდოთ/რა რაოდენობის შემოსავალი უნდა მივიღოთ.

ნულოვანი მოგების წერტილი - გაყიდვების რაოდენობა და რეალიზაციის მოცულობა

იმისათვის, რომ დავადგინოთ პროდუქციის რაოდენობა, რომლის გაყიდვაც უზრუნველყოფს ყველა ხარჯის დაფარვას, ჯამური ფიქსირებული ხარჯები გავყოთ ერთეული პროდუქციის მიერ გენერირებულ საერთო მოგებაზე და იმისათვის, რომ დავადგინოთ შემოსავლის მოცულობა, რომლის გაყიდვაც უზრუნველყოფს ყველა ხარჯის დაფარვას, ჯამური ფიქსირებული ხარჯები გავყოთ საერთო მოგების მარჯაზე.


დანართის სახით იხილეთ წაუგებლობის წერტილის გაანგარიშება 2018 წლის საპროგნოზო მონაცემების საფუძველზე.

წაუგებლობის წერტილის ანალიზი
შ.პ.ს. "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი"


გაყიდვები		
ერთეულის ღირებულება	119	
გაყიდვების მოცულობა	74439	
სულ გაყიდვები		8858241
ცვლადი (პირდაპირი) ხარჯები		
ძირითადი მასალები ერთეულზე	12.85	
პირდაპირი ხელფასი ერთეულზე	58.31	
მომსახურების შესყიდვა ერთეულზე	2.77	
მიწოდების ხარჯები ერთეულზე	0.9758	
სულ ცვლადი (პირდაპირი) ხარჯები ერთეულზე	74.91	
სულ ცვლადი (პირდაპირი) ხარჯები		5576262.71
მარჟა ერთეულზე	44.09	
მთლიანი მარჟა		3281978.29
ფიქსირებული (არაპირდაპირი) ხარჯები		
ადმინისტრაციის ხელფასი ერთეულზე	29.16	
კომუნალური ხარჯები ერთეულზე	6.78	
საოფისე-სამეურნეო ხარჯები ერთეულზე	5.95	
ამორტიზაციის ხარჯები ერთეულზე	28.56	
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ერთეულზე	1.19	
სულ ფიქსირებული (არაპირდაპირი) ხარჯები ერთეულზე	71.64	
სულ ფიქსირებული (არაპირდაპირი) ხარჯები		5332661.08
მოგება/ზარალი)		-2050682.79
არასაოპერაციო მოგება		253931.00
წმინდა მოგება (ზარალი)		-1796751.79

ერთეულის წვლილი - ზღვარი

■ ცვლადი (პირდაპირი) ხარჯები ერთეულზე ■ მთლიანი მოგების მარჟა ერთეულზე




ცვლადი (პირდაპირი) ხარჯები



ფიქსირებული (არაპირდაპირი) ხარჯების სტრუქტურა

ფიქსირებული (არაპირდაპირი) ხარჯები




შედეგი

**წაუგებლობის წერტილი (ცალი)
გაყიდვების მოცულობის ანალიზი**

110922

გაყიდვების მოცულობა პერიოდში (ცალი)	74439	81883	90071	99078	108986	119885	131873	145061
ფიქსირებული ხარჯი	5332661	5332661	5332661	5332661	5332661	5332661	5332661	5332661
ცვლადი ხარჯი	5576263	5807463	6388209	7027030	7729733	8502706	9352977	10288275
სულ ხარჯი	10908924	11140124	11720870	12359691	13062394	13835367	14685638	15620936
სულ გაყიდვები	8858241	9744065	10718472	11790319	12969351	14266286	15692914	17262206
წმინდა მოგება (ზარალი)	-2050683	-1396059	-1002399	-569372	-93043	430918	1007276	1641270

წაუგებლობის წერტილის ანალიზი



როგორც წყვეტლობის წერტილის ანალიზიდან ჩანს ნულოვანი მოგების მისაღწევად საჭიროა გაყიდვების დაახლოვებით 57%-ით ზრდა (შესაბამისად იგივე ხარჯების პირობებში), რაც მიუღწევად მიზანს წარმოადგენს, ვინაიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოქმედი 17 ობიექტიდან 9 მაღალმთიანი რეგიონის კლინიკაა, ხოლო 3 სპეციალური დანიშნულების სამედიცინო დაწესებულება, რომლებიც მათივე სტატუსის გათვალისწინებით (რეგიონის მოსახლეობა, მხოლოდ სპეციალური სერვისის მიწოდება) შესაძლებლობას მოკლებულები არიან მნიშვნელოვნად გაზარდონ შემოსავლები. ამდენად შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით აქცენტი გაკეთდება დაბალმთიანი რეგიონების კლინიკებზე, რომელთაგან ერთს (ლანჩხუთი) მაღალი კონკურენციის პირობებში უწევს საქმიანობა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებას მოითხოვს. მომდევნო 2019 წელს შემოსავალი ცალსახად გაიზრდება, დაახლოებით 10-12%-ით (1 010 000 ლარი) ორი ახალი სამედიცინო დაწესებულების (დუისი, დმანისი) ხარჯზე. ამასთანავე მიმდინარე წელს სახეზეა დედოფლისყაროს კლინიკის შემოსავლის ზრდა დაახლოებით 12%-ის ოდენობით (164 240 ლარი). მაქსიმალურად გაზორციელდება ხარაგაულის ახალი კლინიკის, ლანჩხუთისა და წალკის სამედიცინო დაწესებულებების არსებული რესურსების გამოყენება, რითაც ვვარაუდობთ საოპერაციო შემოსავლის დაახლოებით კიდევ 300 000 ლარით ზრდას, ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გარეშე.

ზემოაღნიშნულ პროგნოზზე დაყრდნობით, შესაძლებელია საერთო რეალიზაცია ჯამურად გაიზარდოს დაახლოებით 12-15%-ით, რაც გააუმჯობესებს ფინანსურ შედეგს და შესაბამისად აისახება გაყიდვების ზრდის საშუალო ტემპის გაანგარიშებაში.

შ.პ.ს. “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ”

გაყიდვების ზრდის საშუალო ტემპის გაანგარიშება

წლები	გაყიდვები	წლიური ზრდის ტემპი
2016	11 096 801.11	
2017	8 851 420.00	79.77%
2018	8 858 232,00	100.00%
2019	10 078 904,00	114.00%

საშუალო გ = 97.92%

ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, საზოგადოება 2019 წლისათვის, გეგმავს ფულადი ნაკადის მოლოდინს დაახლოებით 9 041 211 ლარის ოდენობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ გაყიდვების მოცულობის შესაძლო ზრდა ვერ უზრუნველყოფს ფინანსური შედეგის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ამდენად შესაბამისად გატარდება ღონისძიებები ხარჯების შემცირების მიზნით.

დღევანდელი მდგომარეობით წმინდა მოგების მარჟა შეადგენს -25%-ს, რაც უარყოფითი მაჩვენებელია. არსებული ვითარება განპირობებულია ერთი მხრივ მიმდინარე წლის განმავლობაში კაპიტალის ზრდით, ხოლო მეორეს მხრივ საზოგადოების ბალანსზე არსებული იმ ძირითადი საშუალებებით, რომლებიც პრაქტიკულად გამოუყენებელია საქმიანობისათვის და რომელთა განკარგვაც ამ ეტაპზე ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება (ვანის, ასპინძის და ჩოხატაურის კლინიკები, ხარაგაულის, ლენტეხის და დედოფლისწყაროს კლინიკების ძველი შენობები), ამ ობიექტების ცვეთა/ამორტიზაციისა და შენახვის ხარჯების განაპირობებს დაახლოებით 200 000 ლარის ზარალს. მიმდინარე პერიოდისათვის ბორითის, ცალკე მდგომი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის ზარალმა შეადგინა 197 600 ლარი და წლის დასასრულისთვის 300 000 ლარის ზარალის ზღვარს მიუახლოვდება, ამასთანავე მისი სტატუსის გათვალისწინებით (წარმოადგენს მხოლოდ პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიმწოდებელს) შეუძლებელია შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ დ. ლენტეხის ახალი, 10 საწოლიანი, მრავალპროფილიანი კლინიკის ფუნქციონირება მისი სიმძლავრეების და სამედიცინო საქმიანობის სანებართვო პირობების გათვალისწინებით, წლის დასასრულისთვის განაპირობებს დაახლოებით 300 000 ლარის წლიურ წმინდა ზარალს (მიმდინარე პერიოდის ზარალი 275 000 ლარია). აღნიშნულ კლინიკას განსაზღვრული არა აქვს სპეცდაფინანსების დამატება და ფინანსდება მხოლოდ სპეცდაფინანსების (გლობალი) ყოველთვიური ლიმიტით 12 000 ლარის ოდენობით. ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებაში, მიმდინარე წლის შუალედში ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილმა დარღვევებმა (მასალები გადაეგზავნა შესაბამის უწყებას), ნეგატიური გავლენა მოახდინა კლინიკის შემოსავლის რეალისტურ დაგეგმვაზე და მიუხედავად განხორციელებული რეორგანიზაციისა, შედეგად მივიღეთ შემოსავლის კლება დახლოებით 240 000 ლარის ოდენობით.

ზარალის გამომწვევი, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების მიუხედავად, როგორც მოგება-ზარალის უწყისიდან და კოეფიციენტური ანალიზიდან ჩანს, უარყოფითი შედეგის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს მაინც ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯები წარმოადგენს.

2019 წელს საზოგადოების საოპერაციო შემოსავალი, 2018 წლის შემოსავლთან მიმართებაში, გაიზარდა დაახლოებით 1 220 672 ლარის ოდენობით (14%), და შეადგენს 10 078 904 ლარს. საოპერაციო ხარჯები გაიზარდა მხოლოდ 905 977 ლარის ოდენობით (10%) და შეადგენს 9 950 572 ლარს. შედეგად დაფიქსირდება საოპერაციო მოგება 128 332 ლარის ოდენობით (წინა წლის შედეგი გაუმჯობესდება 177 622 ლარით). ამასთანავე ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები შემცირდება დაახლოებით 160 000 ლარით, რაც შედეგად განაპირობებს ზარალის შემცირებას დაახლოებით 339 000 ლარის ოდენობით, რაც გამოიწვევს რენტაბელობისა და შიდა უკუგების მაჩვენებლების გაუმჯობესებას და შესაბამისად გაუმჯობესდება საბალანსო და მოგება – ზარალის მაჩვენებლები, თუმცა ვერ უზრუნველყოფს დადებითი ფინანსური შედეგის დადგომას და შესაბამისად დარჩება კრედიტორული დავალიანებების სწრაფად გადახდის, შრომის ანაზღაურების დროული გაცემის, მარაგების და სახარჯი მასალების შეძენის და შესაბამისად სავალდებულოების დროული მომარაგების რისკები, რაც განაპირობებს დოტაციის მოცულობის გაზრდას. რისკების აღბათობას ზრდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს შემოწმებების შედეგად დაკისრებული ფინანსური სანქციები 480 526.27 ლარის ოდენობით, რაც, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს მთავრობის, 2013 წლის 21 თებერვლის, №36 დადგენილების, დანართი №1-ის 191 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაექვემდებარა აღსრულებას და შესაბამისად განაპირობა თვისუფალი ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი დეფიციტი. ეს ფაქტორი კი დღემდე უქმნის საზოგადოებას მნიშვნელოვან შეფერხებებს სხვადასხვა კრედიტორებთან და თანამშრომლებთან დროული ანგარშნორების კუთხით.

2019 ბიუჯეტის განმარტებითი ბარათი

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს (შემდგომში - ცენტრი) მიზანს წარმოადგენს, მაღალმთიან რეგიონებში კვალიფიციური და შესაძლებლობის ფარგლებში მრავალპროფილური სამედიცინო სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა და განვითარება, რაც უკავშირდება აღნიშნულ რეგიონებში მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის

მიზიდვას შესაბამისი ანაზღაურების შეთავაზებით და ხარჯეფექტურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან რისკთან არის დაკავშირებული, აღნიშნული რეგიონების მოსახლეობისა და გაყიდვების რაოდენობის გათვალისწინებით. დაბალმთიან რეგიონებში კი კონკურენტუნარიანი სამედიცინო სერვისების მიწოდების სექტორის გაფართოება და სტრუქტურის სრულყოფა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ყველა ობიექტზე, შესაძლებლობის ფარგლებში ხარჯეფექტურობის გაზრდა.

ამ მიზნიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ბიზნეს გეგმაში დასმულია ამოცანები: ინფრასტრუქტურის აღდგენისა და სამედიცინო ბაზის აქტიური ნაწილის განახლების პროცესის გაგრძელება; მართვის სტრუქტურისა და მექანიზმების შემდგომი ოპტიმიზაცია; სამედიცინო დაწესებულებებში მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოზიდვა; პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება; არსებული ზარალის შემცირება.

2019 წლის ბიზნეს გეგმა დამუშავდა ცენტრის 2016-2017 წლების სრული და 2018 წლის 9 თვის მონაცემების ბაზაზე აგებული სრული საპროგნოზო ფინანსური პარამეტრების, ფორმირებული ტენდენციების, ცვლილებების გათვალისწინებით, და სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის მიერ, სამედიცინო მომსახურების სახეების მიხედვით ფორმირებული ბიზნეს წინადადებების განზოგადების საფუძველზე.

ბიზნეს გეგმაში გათვალისწინებულია ხარჯების მაქსიმალური ოპტიმიზაციისა და შესაძლებლობის ფარგლებში შემოსავლების ზრდის ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს: მომსახურების სტრუქტურის გაფართოებასა და მოცულობის ზრდას გეგმური სტაციონარის, გადაუდებელი და გეგმიური ამბულატორიის მიმართულებით; ბენეფიციარების რაოდენობის მატებას; დიაგნოსტიკური მომსახურების გაუმჯობესებას; ერთჯერადი აქციების რეგულარულად ჩატარებას. რეფერალის რაოდენობის შემცირებას.

შემოსავლების მოსალოდნელი მატება დაგეგმილია ძირითადად არსებული სერვისების მოცულობის ზრდის, საზოგადოების შემადგენლობას ახალად დამატებული სამედიცინო ობიექტების და ახალი, დამატებითი სერვისების ამოქმედების ხარჯზე. გათვალისწინებულია აგრეთვე მენეჯმენტის კუთხით არსებული რეზერვების გამოყენების გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მონაცემებით საშუალოდ თითოეულ კლინიკაზე (15 კლინიკა) ერთ კალენდარულ დღეში გაყიდვების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 12.5 ერთეულს. 2018 წლის განმავლობაში 17 კლინიკაზე გადანაწილებით ეს მაჩვენებელი დაახლოებით 14-15ს უნდა გაუტოლდეს და არსებული რესურსებით მაქსიმუმ 2-3 ერთეულით შეიძლება გაიზარდოს დეოფლისწყაროს და ხარაგაულის განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზების, დმანისისა და ღუისის ახალი სამედიცინო დაწესებულებების ხარჯზე, თუმცა ახალი ობიექტების სასტარტო პერიოდის გათვალისწინებით მოსალოდნელია მათი დანახარჯების ზრდაც. ამ შედეგის მიღწევა, ზემოთ უკვე აღწერილი ფაქტორების

გათვალისწინებით, მაინც ვერ უზრუნველყოფს დადებითი ფინანსური შედეგის ფორმირებას, მაგრამ შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ გადავინაცვლოთ ზარალის კლიების ტენდენციაზე.

გაგრძელდება გონივრული ეკონომიის რეჟიმი, რაც გამოიხატება მედიკამენტებისა და სახარჯი მასალების რაციონალურ ხარჯვაში, კომუნალური ხარჯების შემცირებაში საოპერაციო შემოსავლებთან მიმართებით, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებების კადრების კვალიფიკაციის ამაღლება - დაკომპლექტების პროცესი, სამედიცინო პერსონალის რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების სისტემის ოპტიმიზაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენტრის საქმიანობა წარმართა მრავალი ცვლილების პირობებში.

საოპერაციო შემოსავლების მოცულობა, 2018 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 9 559 3944 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიური შემოსავალი, განისაზღვრება 8 858 232 ლარის ოდენობით ანუ 701 162 ლარით (-7%) ნაკლები, რაც დასაშვები ცდომილებაა. აქვე განვმარტავთ, რომ სპეცდაფინანსების დამატების ყოველთვიური ლიმიტების შედეგად აუთვისებელი დარჩა 46 431 ლარი (-2%), რომელიც გეგმაში სრული საკონტრაქტო ღირებულებითაა განსაზღვრული. ამავე დროს საზოგადოების დოტაცია მალალმითიანი რეგიონების კლინიკების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შეადგინა 529 426 ლარი. კვლავ აღვნიშნავთ, რომ სპეცდაფინანსების დამატების სრული საქონტრაქტო ღირებულებიდან მუდმივად დაგვრჩება აუთვისებელი თანხები, ვინაიდან მიუხედევად იმისა რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებების თანახმად, 6 თვეში ერთხელ შესაძლებელია ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში მოთხოვნილი თანხების კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს თვიური ლიმიტი და არ ხდება კლიმატური პირობების და შესაბამისად სეზონურობის გათვალისწინება კომუნალური ხარჯების ცვალებადობის გამო, კორექტირება ვერ განაპირობებს ზარალის სრულ ანაზღაურებას. გარდა ამისა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საზოგადოებას ტვირთად აწევს პრაქტიკულად გამოუყენებელი აქტივების - ვანის, ასპინძის, ჩოხატაურის კლინიკების, ასევე ხარაგულის, დედოფლისწყაროს და ლენტეხის ძველი შენობა ნაგებობის ამორტიზაციისა და შენახვის ხარჯები, რასაც ემატება ბორითის არარენტაბელური კლინიკის დოტაცია დაახლოებით 200 000 ლარის ოდენობით. 594 029 ლარის სხვაობა დაფიქსირდა საოპერაციო შემოსავალში, რაც ერთის მხრივ განაპირობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხარაგულის კლინიკის შემოსავალის დაგეგმვამ გასული 2017 წლის მონაცემებზე დაყრდნობით (სხვაობა -250 000 ლარი), ასევე წალკისა და ლანჩხუთის კლინიკების საოპერაციო შემოსავლების კლებამ ჯანურად 223 000 ლარის ოდენობით. მათ შორის სსიპ სოციალური მომსახურების სააგანტოს მიერ, წალკის სამედიცინო დაწესებულების, შემოწმების შედეგად

დაკისრებულმა ფინანსურმა საწესდებმა შეადგინა 58 290 ლარი (უკან დასაბრუნებელი - 39 801 ლარის და ჯარიმა -18 489 ლარი). აქვე კვლავ აღვნიშნავთ, რომ ლანჩხუთის სამედიცინო დაწესებულება ფუქციონირებს მაღალი კონკურენციის პირობებში და მისი შემოსავალის შემცირება ჩვენთვის დამატებითი დეტალური განხილვის საგანს წარმოადგენს. მიმდინარე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების კორექტირებამ, ყველ სამედიცინო დაწესებულებაზე ჯამურად, შეადგინა 21 332 ლარი. 2017 წელთან შედარებით ცვეთა/ამორტიზაციის ანარიცხების გაიზარდა 75 000 ლარით (დმანისის და დუისის ხარჯზე), ხოლო არასაოპერაციო მოგება/ზარალი შემცირდა 226 069 ლარით (უსასყიდლოდ მიღებული სამედიცინო სახარაჯი მასალებისა და მედიკამენტების შემოსავალის შემცირებით), ამდენად მიუხედავად იმისა რომ, 2018 წელს დაგეგმილ ხარჯებთან შედარებით (9 229 055 ლარი) ფაქტობრივი საოპერაციო ხარჯები (8 907 522 ლარი) შემცირდა 321 532 ლარით, შედეგად მივიღეთ 2018 წლის სავარაუდო ფინანსური ზარალი 1 794 882 ლარის ოდენობით. სხვაობამ დაგეგმილ 1 118 872 ლარსა და ფაქტობრივ 1 794 882 ლარს შორის შეადგინა 676 010 ლარი.

2019 წლის ბიზნეს გეგმის თანახმად საოპერაციო შემოსავლების მოცულობა დაფიქსირდება 10 078 904 ლარის ფარგლებში, მათ შორის 1 872 000 ლარს შეადგენს სპეცდაფინანსების დამატების კონტრაქტებით განსაზღვრული ჯამური წლიური ღირებულება, საიდანაც ანაზღაურების პირობების უცვლელობის შემთხვევაში კვლავაც აუთვისებელი დარჩება დაახლოებით 46 000 ლარი. ამდენად რეალურად 2017 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან მიმართებაში საოპერაციო შემოსავლები გაიზარდება დაახლოებით 14%-ით. არასაოპერაციო შემოსავლები სავარაუდოდ დაფიქსირდება 260 000 ლარის ამდენად ცენტრის მთლიანი შემოსავალი 2018 წელს მიაღწევს 10 338 904 ლარს და გაიზარდება დაახლოებით 13%-ით.

2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოპერაციო ხარჯების ზრდა 2018 წლის ფაქტობრივ ხარჯებთან შედარებით, დაახლოებით 9-10%-ით, რაც განპირობებული იქნება საზოგადოების შემადგენლობაში ორი ახალი კლინიკის (დუისი და დმანისი) ფუნქციონირების დაწყებით, ანუ შემოსავლების 13-14%-იანი ზრდის გათვალისწინებით ეფექტური სხვაობა დაახლოებით 3-4%-ს შეადგენს. საოპერაციო ხარჯების მოცულობა 2019 წელს განისაზღვრება 9 950 572 ლარის ოდენობით. შემცირდება ცვეთა/ამორტიზაციის მოცულობა დაახლოებით 159 962 ლარით. შრომის ანაზღაურების მოცულობა გაიზარდება 4-5%-ით და შეადგენს დაახლოებით - 6 853 655 ლარს. საოპერაციო შემოსავალის ზრდის პროპორციულად 14%-ით გაიზარდება მედიკამენტების , სახარაჯი მასალებისა და სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვის ხარჯი. საერთო ჯამში საოპერაციო ხარჯები, როგერც აღვნიშნეთ გაიზარდება 10%-ით ანუ შემოსავლების მატებაზე 0,71-ჯერ უფრო ნაკლები ტემპით და საგეგმო წლის ბოლოს დაფიქსირდება დაახლოებით 138 332 ლარის საოპერაციო მოგება, რაც ცვეთა/

ამორტიზაციის ხარჯების დარიცხვის შემდგომ განაპირობებს 1 446 229 ლარის წმინდა ზარალს.

შ.პ.ს. “რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2019 წლის ბიუჯეტის გემა

1. მთლიანი შემოსავლები - 10 338 904 ლარი:
 - 1.1. საოპერაციო შემოსავალი - 10 078 904 ლარი;
 - 1.2. არასაოპერაციო შემოსავალი - 260 000 ლარი;
2. საოპერაციო ხარჯები - 9 950 572 ლარი;
3. საოპერაციო მოგება ცვეთა/ამორტიზაციამდე და ვალდებულებებამდე – 138 332 ლარი;
4. ცვეთა/ამორტიზაცია - 1 839 561 ლარი;
5. წმინდა მოგება/ზარალი – (-1 446 229) ლარი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 2019 წლის ბიუჯეტი დამუშავებულია 2018 წლის 9 თვის სრულ ფინანსურ პარამეტრებზე დაყრდნობით მიღებულ საპროგნოზო მონაცემებზე და ამდენად ფისკალური წლის დასრულების შემდგომ აუცილებლად განხორციელდება 2019 წლის ბიუჯეტის დაზუსტება, რაც საგარეოდ გამოიწვევს უმნიშვნელო ცვლილებებს, იმ შემთხვევაში თუ, 2017-2018 წლების მსგავსად 2019 წელს კვლავ არ განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოების კაპიტალსა და აქტივებში.

შ.პ.ს. “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”

2018 წლის ბუჯეტის შესრულება და 2019 წლის გეგმა

	2018				2019			
	ბიუჯეტი	ფაქტობრივი	სხვაგვარა (ლარი)	სხვაგვარა (%)	ფაქტობრივი 2018	გეგმა 2019	სხვაგვარა (ლარი)	სხვაგვარა (%)
ხარჯები და შემოსავლები								
სულ შემოსავლები	10,039,394	9,112,163	-927,231	-9%	9,112,163	10,338,904	1,226,741	13%
I. საოპერაციო შემოსავლები, სულ	9,559,394	8,858,232	-701,162	-7%	8,858,232	10,078,904	1,220,672	14%
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	6,161,726	5,567,697	-594,029	-10%	5,567,697	6,681,236	1,113,539	20%
დაფინანსება-გლობალი	1,349,388	1,349,388	0	0%	1,349,388	1,349,388	0	0%
სპეცდაფინანსება	1,872,000	1,826,000	-46,000	-2%	1,826,000	1,872,000	46,000	3%
სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსება	176,280	176,280	0	0%	176,280	176,280	0	0%
შემოსავლების შემცირება	0	-61,133	-61,133		-61,133		61,133	-100%
II. არასაოპერაციო შემოსავლები	480,000	253,931	-226,069	-47%	253,931	260,000	6,069	2%
საპროცენტო შემოსავალი	30,000	28,789	-1,211	-4%	28,789	30,000	1,211	4%
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	450,000	225,142	-224,858	-50%	225,142	230,000	4,858	2%
III. არასაოპერაციო ხარჯები	5,000	0	-5,000	-100%	0	5,000	5,000	№ IV/0!
არასაოპერაციო მოგება/ზარალი	475,000	253,931	-221,069	-47%	253,931	255,000	1,069	0%
IV. საოპერაციო ხარჯები								
მედიკამენტების სამედიცინო სახარჯი მასალებისა და სამედიცინო მოწყობილობების ხარჯი	950,000	913,477	-36,523	-4%	913,477	1,040,000	126,523	14%

შრომის ანაზღაურება	6,415,150	6,619,732	204,582	3%	6,619,732	6,853,655	233,923	4%
საპრემიო ფონდი	286,782	0	-286,782	-100%	0	201,578	201,578	
შრომისა და საკომისიო გასაცემი ხელფასის ხარჯი	43,500	40,135	-3,365	-8%	40,135	43,500	3,365	8%
დაგროვებითი პენსიის ანარიცხები						137,073		
მივლინების ხარჯი	40,000	29,163	-10,837	-27%	29,163	40,000	10,837	37%
საიჯარო გადასახადი	31,000	23,940	-7,060	-23%	23,940	24,000	60	0%
კომუნალური ხარჯები	650,000	552,860	-97,140	-15%	552,860	700,000	147,140	27%
საწვავი (მ.შ. შუშა და ქვანახშირი)	80,000	99,900	19,900	25%	99,900	100,000	100	0%
უძრავი და მოძრავი ქონების მიმდინარე რემონტის ხარჯი	115,000	66,181	-48,819	-42%	66,181	115,000	48,819	74%
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	215,000	196,020	-18,980	-9%	196,020	215,000	18,980	10%
სამედიცინო ნარჩენების გატანის, დასუფთავების და დეზინფექციის ხარჯები	70,000	81,250	11,250	16%	81,250	100,000	18,750	23%
საკომუნიკაციო ხარჯი (ინტერნეტი, ტელეფონი, მობილური)	100,000	104,305	4,305	4%	104,305	125,000	20,695	20%
კომპიუტერების ხარჯი	12,000	6,747	-5,253	-44%	6,747	20,000	13,253	196%
საკანცელარიო ხარჯი	43,973	37,090	-6,883	-16%	37,090	46,363	9,273	25%
სამეურნეო ხარჯი	56,665	47,059	-9,606	-17%	47,059	59,418	12,359	26%
არასაგადასახადო ჯარიმა		24,243	24,243		24,243		-24,243	
აუდიტის ხარჯი	10,000	4,564	-5,436	-54%	4,564	10,000	5,436	119%
ტრენინგები	15,000	0	-15,000	-100%	0	15,000	15,000	№IV/0!
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები (ცვეთა)	25,000	33,125	8,125	33%	33,125	25,000	-8,125	-25%
სხვა ხარჯი	69,985	27,731	-42,254	-60%	27,731	69,985	42,254	152%
სულ სოპერაციო ხარჯები	9,229,055	8,907,522	-321,532	-3%	8,907,522	9,940,572	895,977	10%
სოპერაციო მოგება/ზარალი	330,340	-49,290	-379,630	-115%	-49,290	138,332	187,622	-381%
ცვეთა/ამორტიზაცია	1,924,212	1,999,523	75,311	4%	1,999,523	1,839,561	-159,962	-8%
წმინდა მოგება/ზარალი	-1,118,872	-1,794,882	-676,010	60%	-1,794,882	-1,446,229	348,653	-19%

შ.პ.ს. “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ”

დასკვნა

2018 წლის ზარალის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენდა:

1. ბორითის, ცალკე მდგომი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის ზარალი 197 604 ლარის ოდენობით;
2. იმ ობიექტების ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯები, რომლებშიც აღარ წარმოებს სამედიცინო საქმიანობა (ვანი, ქარელი, ასპინძა, ჩოხატაური და დედოფლისწყაროს, ხარაგაულის და ლენტეხის ძველი შეობა ნაგებობები). მათი ქონების ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები წლიურად შეადგენს -200 000 ლარს, რასაც დაემატა ახალი კლინიკების (დუისი და დმანისი) ანალოგიური ხარჯი დაახლოებით 70 000 ლარის ოდენობით;
3. სპეცდაფინანსების დამატების ათვისების ხარვეზები, კერძოდ: მოუხდავად იმისა, რომ ყოველთვიური ლიმიტების ჯამი წლიურად შეადგენს 1 872 000 ლარს, ამავე პერიოდში აუთვისებელი დარჩა 46 000 ლარი; შესაბამისად კი ცენტრი განახორციელებს დაახლოებით 529 426 ლარის სუბსიდირებას;
4. ზემოაღნიშნულს ემატება, ლენტეხის კლინიკის ფუნქციონირების უზრუნველყოფის ხარჯები, რომელიც ასევე წარმოადგენს მაღალმთიანი რეგიონის სამედიცინო დაწესებულებას, მგრამ არ გააჩნია სპეცდაფინანსების დამატება, დაახლოებით 300 000 ლარის ოდენობით;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება:

1. იმ ობიექტების ამოღება საზოგადოების კაპიტალიდან, რომელთაც შეწყვეტეს სამედიცინო სერვისების მიწოდება;
2. ლენტეხის სამედიცინო დაწესებულებისათვის სპეცდაფინანსების დამატების ლიმიტის გამოყოფა;
3. დუისის სამედიცინო დაწესებულებისათვის სპეცდაფინანსების დამატების შენარჩუნება;
4. სპეცდაფინანსების (გლობალი) და სპეცდაფინანსების დამატების ბიუჯეტების გაერთიანება (ვინაიდან შინაარსობრივად ერთი და იმავე მიზნებისათვის განეულ დანახარჯებს წარმოადგენენ);

აღნიშნული გადაწყვეტილებები, კლინიკებში სამედიცინო სერვისების მოცულობის ზრდასთან ერთად, რასაც ცენტრი აუცილებლად განახორციელებს საკუთარი რესურსებით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ცენტრის ფინანსურ შედეგებს.